



საქმე №1გ/895-17



**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**  
საქართველოს სახელით  
საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ

29 ივნისი, 2017 წელი

ქ.თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს  
საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე  
გიორგი გოგინაშვილმა

ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე ბრალდებულების გ. გ.-ს და დ. ლ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების გირაოს გამოყენების შესახებ თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2017 წლის 23 ივნისის განჩინებაზე, მარნეულის რაიონული რაიონული პროკურატურის პროკურორის გიორგი სახიაშვილის საჩივრის დასაშვებობის საკითხი,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

საქართველოს შსს თეთრიწყაროს რაიონული სამმართველოს ასურეთის განყოფილების წარმომადგენელის სისხლის სამართლის №036210617002 საქმე, ბრალდებულების გ. გ.-ს (დაბ:19XX წლის XX ოქტომბერს, პირადი №XXXXXXXXXXXX) და დ. ლ.-ს მიმართ (დაბადებული 19XX წლის XX თებერვალს, №XXXXXXXXXXXX).

საქმის მასალების მიხედვით, 2017 წლის 22 ივნისს 00:22 საათზე ბრალდებულად დაკავებულ გ. გ.-ს 2017 წლის 23 ივნისს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქ/პუნქტებითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქ/პუნქტით- ქურდობა, ე.ი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი სადგომში უკანონო შეღწევით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

ასევე, 2017 წლის 22 ივნისს 00:22 საათზე ბრალდებულად დ. ლ.-ს 2017 წლის 23 ივნისს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქ/პუნქტებითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქ/პუნქტით- ქურდობა, ე.ი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით,



რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი სადგომში უკანონო შეღწევით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

2017 წლის 23 ივნისს თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გიორგი სახიაშვილმა და ითხოვა ბრალდებულების გ. გ.-ს და დ. ლ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს 10.000 - 10.000 ლარის ოდენობით გამოყენება და გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის შეფარდება.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2017 წლის 23 ივნისის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულებს გ. გ.-ს და დ. ლ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ გირაო 10.000-10.000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით, ბრალდებულები გათავისუფლდნენ სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2017 წლის 23 ივნისის განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივრა მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გიორგი სახიაშვილმა. წარმოდგენილი საჩივრით პროკურორი ითხოვს ბრალდებულებს გ. გ.-სა და დ. ლ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდოთ გირაო 10. 000 - 10. 000 ლარის ოდენობით, ხოლო გირაოს თანხის გადახდამდე, გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით ბრალდებულების მიმართ გამოყენებულ იქნას პატიმრობა.

ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ საჩივარში მითითებულია, რომ საქართველოს სსსკ-ის 200 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, სასამართლო პროკურორის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით, გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობას უფარდებს ბრალდებულს, რომლის მიმართაც გამოყენებულია დაკავება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების სახით, მის მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიურის სადეპოზიტო ანგარიშზე გირაოს სრულად ან ნაწილობრივ (მაგრამ არანაკლებ 50%-ისა) შეტანამდე. გირაოს შეტანას ადასტურებს სასამართლო ან პროკურორი. შესაბამისად, მოცემული მუხლი იმპერატიულად მოითხოვს დაკავებული ბრალდებულისათვის გირაოს შეფარდებისას, მის მიმართ გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენებას. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ ეწინააღმდეგება კანონით გათვალისწინებული ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენებას. აქედან გამომდინარე, ბრალდების მხარე მიიჩნევს, რომ ბრალდებულების პიროვნების, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათის, მართლწინააღმდეგობის, ასევე სასჯელის სიმძიმის გათვალისწინებით, ბრალდებულების გ. გ.-ს და დ. ლ.-ს მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს გირაო 10. 000 - 10. 000 ლარის ოდენობით, ხოლო გირაოს თანხის გადახდამდე, გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით ბრალდებულების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს პატიმრობა. (იხ.საჩივარი)



საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საჩივრის არსებითად განხილვამდე, მოსამართლე ზეპირი მოსმენის გარეშე ამოწმებს და წყვეტს აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებული საჩივრის დასაშვებობის საკითხს. საჩივარი დასაშვებია მაშინ, თუ სახეზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დებულებათა მცდარობა ან არსებული მოთხოვნების დარღვევა მისი მიღებისას ანდა საჩივარში მითითებულია არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხსა და მტკიცებულებაზე, რომელიც არ გამოიკვლია პირველი ინსტანციის სასამართლომ და რაც გავლენას იქონიებდა პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე. საჩივრის დასაშვებობის თაობაზე მოსამართლეს გამოაქვს განჩინება.

შევამოწმე საჩივრის შესაბამისობა დასაშვებობისთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან და მიმაჩნია, რომ საჩივარი დაუშვებელია, თუმცა მხედველობაში მიღებული უნდა იქნას შემდეგ გარემოებები, რაც სავალდებულოა პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის: განჩინების გაცემისას მოსამართლემ განიხილა შუამდგომლობა, მოუსმინა პროცესის მონაწილეებს, გააანალიზა საქმის მასალები, გამოიკვლია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალურ, ისე ფაქტობრივ საფუძველთა არსებობა და მიიჩნია, რომ მიზანშეწონილი იყო ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება.

მასალების მიხედვით, მოსამართლის მიერ შემოწმებულია გ. გ.-ს და დ. ლ.-ს ბრალდების წარდგენის და გამოძიების დროს იმ საპროცესო მოქმედებათა კანონშესაბამისობის საკითხი, რაც წინ უსწრებდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას. როგორც დაკავების, ბრალდების წარდგენის, ისე აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას, არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევებს, რაც გამოიწვევდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმას, ადგილი არ ჰქონია.

სასამართლომ გამოიკვლია მტკიცებულებების ანუ ბრალდებით გათვალისწინებული ქმედების ფაქტობრივ გარემოებათა შესახებ მასალების საკმარისობის საკითხი და მიუთითა, რომ ბრალდების დადგენილებებში აღნიშნული და საქმეში არსებული ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა ქმნიდა გ. გ.-ს და დ. ლ.-ს ბრალდების და მათ მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკმარის ფაქტობრივ საფუძველს.

გასაჩივრებული განჩინების მიხედვით, აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ბრალდებულებმა გამოთქვეს მზაობა გირაოს თანხის გადახდის თაობაზე, მათ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და მჭიდროდ არიან დაკავშირებული სამართალწარმოების ქვეყანასთან, ამასთან ბრალდებულ გ. გ.-ს უვადოდ აქვს შეზღუდული შრომის უნარი, დაავადებულია C ჰეპატიტით და ჩართულია სახელმწიფო პროგრამაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. გ.-სა და დ. ლ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს 10000-10000 ლარის ოდენობით გამოყენება იმ პირობებში როცა ბრალდებულებს შეუძლიათ უძრავი ქონებით უზრუნველყოფონ გირაოს თანხის შეტანა, არის პროპორციული და შესაფერისი სასამართლოს მიერ დადგენილი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად. რაც შეეხება გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით ბრალდებულების მიმართ პატიმრობის შეფარდების საკითხს რაც



გათვალისწინებულია საქართველოს სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილით, სასამართლომ მიუთითა, რომ პატიმრობის ამგვარი წესით შეფარდება ეწინააღმდეგება არა მარტო ქართულ კანონმდებლობას, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტს და მასზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ მიდგომებს, რის გამოც კონკრეტულ შემთხვევაში მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ბრალდებულების პატიმრობაში დატოვება მხოლოდ გირაოს თანხის შეტანასთან დაკავშირებული მიზეზით და ისიც მხოლოდ მათი დაკავების ფაქტის გამო. სასამართლოს განმარტებით კონვენციის მე-5 მუხლი ითხოვს, რომ ყველა დაკავება თუ დაპატიმრება იყოს კანონიერი (როგორც პროცესუალურად, ისე შინაარსობრივად) და რომ იგი განხორციელდეს მე-5 მუხლის პირველი პუნქტის a)-f) პუნქტებში ჩამოთვლილ ექვს მიზეზთაგან ერთ-ერთის გათვალისწინებით. ამასთან, თავისუფლების აღკვეთა შეიძლება იყოს კანონიერი შიდა კანონმდებლობის მიხედვით, მაგრამ თვითნებური და კონვენციასთან შეუსაბამო. „თავისუფლების პრეზუმფციის“ თანახმად ბრალდებული არსებითი სხდომის გამართვამდე უნდა იყოს თავისუფალი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სახელმწიფო დაასაბუთებს, რომ არსებობს „რელევანტური და საკმარისი“ მიზეზები შემდგომი პატიმრობის გასამართლებლად. სასამართლო აღნიშნავს, რომ პატიმრობის გაგრძელებაში იგულისხმება აღკვეთის ღონისძიების სახით პირველადი პატიმრობის შეფარდებაც. ხოლო მიზეზები პატიმრობის ვადის გაგრძელებისათვის მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დასაშვებად, როდესაც ისინი ნამდვილად შეესაბამება კონკრეტულ პირთან დაკავშირებულ გარემოებებს. ამიტომ არ შეიძლება არსებობდეს ნორმა, რომელიც დანაშაულებრივი წარსულის, ნასამართლობის მქონე პირებს ან თუნდაც მათ, რომლებსაც ბრალად ედებათ ცალკეული დანაშაულის ჩადენა, ჩამოართმევდა უფლებას, მათი გათავისუფლების საკითხი განხილულიყო სასამართლოს მსვლელობის პროცესში. საქართველოს სსსკ ითვალისწინებს ერთადერთ წესს, რომელიც პატიმრობის გამოყენების სავალდებულობაზე მიანიშნებს და ეს წესი, რაც რეალურად გათავისუფლებაზე ავტომატურ უარს ნიშნავს, მხოლოდ ერთი სახის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას გამოიყენება. ეს აღკვეთის ღონისძიება გირაოა, ხოლო მავალდებულებელი კრიტერიუმი - პირის დაკავებაში ყოფნის ფაქტი. სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის ფორმულირება ითვალისწინებს არა უფლებამოსილებას არამედ ვალდებულებას დაკავების ფაქტის გამო გირაოს უზრუნველსაყოფად გამოყენებულ იქნეს პატიმრობა. ამგვარი ჩანაწერით არ რჩება ადგილი პატიმრობის შეფარდების მართლზომიერების შეფასებისთვის. „უფარდებს“ ნიშნავს, რომ ყველა შემთხვევაში უფარდებს და არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს. სასამართლოს იმ შემთხვევაშიც არ რჩება შეფასების თავისუფლება, როდესაც პროკურორი არ ითხოვს გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის შეფარდებას, ვინაიდან დაკავების ფაქტი, თავისთავად, მისი გამოყენების წინაპირობაა. მოცემული სიტუაციის სხვა ნაკლოვანება იმაშიც მდგომარეობს, რომ მოსამართლე გვევლინება ბრალმდებლის როლში და ის იყენებს უფრო მკაცრი სახის აღკვეთის ღონისძიებას, ვიდრე ეს პროკურორმა მოითხოვა. პარადოქსია ისიც, რომ დაკავებული პირის მიმართ გირაოს შეფარდებისას პატიმრობა ავტომატურად გამოიყენება, ხოლო სხვა აღკვეთის ღონისძიებების (მაგ., პირადი თავდებობა და სხვ.) შეფარდების შემთხვევაში პირი დაუყოვნებლოვ თავისუფლდება დაკავებიდან. პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებით, დაკავების ფაქტი არ არის ის კრიტერიუმი, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ბრალდებულის განგრძობით პატიმრობას. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს



მიდგომები ცალსახად მიუთითებს საქართველოს სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის კონვენციასთან შეუსაბამობაზე, რის გამოც გირაოს გამოყენების უზრუნველსაყოფად, მხოლოდ დაკავების ფაქტის გამო პატიმრობის შეფარდება დაუშვებელია. (იხ. განჩინება)

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია განმარტავს, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საპროცესო და ფაქტობრივი საფუძვლების შემოწმების შემდეგ, მოსამართლემ უნდა იმსჯელოს კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზანშეწონილობაზე და გადაწყვიტოს, თუ რომელი აღკვეთის ღონისძიება უფრო უკეთ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას გამოძიებისა და საქმის სასამართლო განხილვის სტადიებზე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილი იქნას განაჩენის აღსრულება, შესაძლებელია სხვადასხვა სახის აღკვეთის ღონისძიებით, რომელთაგან მოსამართლემ უნდა შეარჩიოს ყველაზე უფრო რელევანტური.

კონკრეტულ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების გაცემისას განიხილა სასამართლო სხდომაზე მხარეთა მიერ მითითებული საკითხები და გარემოებები, ასევე არსებითი მნიშვნელობის მქონე ის მტკიცებულებები, რასაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა ბრალდებულების გ. გ.-ს და დ. ლ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების მართლზომიერებაზე და გირაოს ოდენობის განსაზღვრაზე, კერძოდ მხედველობაში იქნა მიღებული ბრალად წარდგენილი ქმედების ხასიათი, ბრალდებულების პიროვნება, მათი ოჯახური თუ ქონებრივი მდგომარეობა, ის რომ ბრალდებულებს გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, მჭიდროდ არიან დაკავშირებული სამართალწარმოების ქვეყანასთან, გ. გ.-ს კი აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები, ამასთან, ბრალდებულებმა გამოთქვეს მზაობა უძრავი ქონებით უზრუნველყონ გირაოს თანხის შეტანა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ გ. გ.-ს და დ. ლ.-ს მიმართ ბრალად წარდგენილი ქმედება მიეკუთვნება მძიმე კატეგორიის დანაშაულთა რიცხვს, რომელიც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან შვიდ წლამდე ვადით და ამასთან გ. გ. წარსულში ნასამართლევა სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულების ჩადენისათვის, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფაქტობრივი, ისე ფორმალური საფუძვლები, რის გამოც დაკმაყოფილებული იქნა ბრალდების მხარის მოთხოვნა გ. გ.-ს და დ. ლ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს 10 000-10 000 ლარის ოდენობით შეფარდების ნაწილში, რასაც ბუნებრივია ბრალდების მხარე წარმოდგენილი საჩივრით სადაოდ არ ხდის. კონკრეტულ შემთხვევაში პროკურორი საქართველოს სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილზე მითითებით განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმა იმპერატიულად მოითხოვს დაკავებული ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდებისას ბრალდებულის მიმართ გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენებას. საგამომიებო კოლეგია იზიარებს ბრალდების მხარის აღნიშნულ პოზიციას და განმარტავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო არ არაა უფლებამოსილი არასწორად და ორაზროვნად განემარტოს კანონის ნორმა



გირაოს უზრუნველყოფის მიზნით ბრალდებულისთვის პატიმრობის შეფარდების სამართლებრივი საფუძველი, თუმცა ვინაიდან ბრალდებულის სახით დაკავებული პირის სტატუსი მთლიანად დამოკიდებულია პირველი ინსტანციის სასამართლოზე, საგამოძიებო კოლეგია მოკლებულია შესაძლებლობას დაკავებიდან განთავისუფლებულ პირებს შეუფარდოს გირაო საპატიმრო უზრუნველყოფით, რის გამოც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების ან შეცვლის საფუძველები, რის გამოც მიუხედავად აღნიშნულისა როგორც უკვე აღინიშნა საგამოძიებო კოლეგია მოკლებულია შესაძლებლობას დაკავებიდან განთავისუფლებულ პირებს შეუფარდოს გირაო საპატიმრო უზრუნველყოფით, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ ბრალდების მხარის საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი. სააპელაციო გასაჩივრების საგანი არაა დამოუკიდებლად როგორც გირაოს უზრუნველყოფის ისე დამატებით ღონისძიების დაკისრების საკითხი.

რაც შეეხება უშუალოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს არგუმენტაციას იმის თაობაზე, რომ დაკავების ფაქტი არ შეიძლება იყოს ის კრიტერიუმი, რომელიც საფუძველად უნდა დაედოს ბრალდებულის განგრძობით პატიმრობას და პირისთვის პატიმრობის შეფარდება სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული საფუძველით ეწინააღმდეგება არა მარტო ქართულ კანონმდებლობას, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტს, რომელიც ცალსახად ითხოვს, რომ ყველა დაკავება თუ დაპატიმრება იყოს კანონიერი (როგორც პროცესუალურად, ისე შინაარსობრივად), საგამოძიებო კოლეგია ვერ გაიზიარებს, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლო შუამდგომლობის განხილვისას ვალდებულია გამოსაყენებელი ნორმა განმარტოს და შეუფარდოს ნორმა დასახელებულ შემთხვევას და არა უარი თქვას ნორმის გამოყენებაზე, რასაც ადგილი აქვს მოცემულ შემთხვევაში. საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოს სსსკ-ის 200-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად სასამართლო პროკურორის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით, გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობას უფარდებს ბრალდებულს, რომლის მიმართაც გამოყენებულია დაკავება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების სახით, მის მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე გირაოს სრულად ან ნაწილობრივ (მაგრამ არანაკლებ 50%-ისა) შეტანამდე. გირაოს შეტანას ადასტურებს სასამართლო ან პროკურორი. დასახელებული ნორმა იმპერატიულად განსაზღვრავს სასამართლოს ვალდებულებას დაკავებული ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენებისას, გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის შეფარდების თაობაზე, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც პირის ბრალდებულის სახით დაკავება განხორციელებულ იქნა კანონის მოთხოვნათა არსებითი დარღვევით, რაც საქართველოს სსსკ-ის 176-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად დაკავებულის გათავისუფლების უპირობო საფუძველს წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში, მართალია ბრალდებულების გ. გ.-ს და დ. ლ.-ს დაკავება მოხდა სასამართლოს განჩინების გარეშე, ვინაიდან როგორც საქმის მასალებით დგინდება, არსებობდა საქართველოს სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა, თუმცა აღნიშნული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ უკანონო არ ყოფილა მიჩნეული, ანუ სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ბრალდებულების დაკავებისას რაიმე სახის



დარღვევას ადგილი არ ჰქონია და მათი მხრიდან მიმალვის, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურებისა თუ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე თავიდან ვერ იქნებოდა აცილებული სხვა, ალტერნატიული ღონისძიებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას, მოსამართლე ექცეოდა სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული ნორმის ფარგლებში, იგი არ იყო უფლებამოსილი მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულების გვერდის ავლით თვითნებურად ემსჯელა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევაზე და მოეხდინა ნორმის არასწორი ინტერპრეტაცია, რაც საბოლოო ჯამში საფუძვლად დაედო ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით არასაკატიმრო გირაოს გამოყენებას, მითუფრო, რომ სადაო ნორმა საგამომიებო კოლეგიის შეფასებით, სრულ შესაბამისობაში მოდის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განვითარებულ მიდგომებთან, თანხვედრა მათ და ემსახურება სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დაცვას. ამასთან საგამომიებო კოლეგია მიუთითებს, რომ თეთრიწყაროს რაიონულმა სასამართლომ არასწორად შეაფასა როგორც გირაოს პატიმრობით უზრუნველყოფის საფუძვლები, ისე, კონკრეტულად ფორმალურ საფრთხეებთან გამოკვეთილი გარემოებები, კერძოდ, პირველი ინსტანციის განჩინებაში ა/ღონისძიების გამოყენების საფუძვლებსა და მიზნებთან, თითქოს საპატიმრო გირაოსთან დაკავშირებით, მრავლად არის მითითებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაზე, თუმცა განჩინებაში ციტირებული პრეცედენტები არ არის შესაბამისობაში სასამართლოსვე გამოყენებულ ა/ღონისძიების გირაოს საფუძვლებთან და წინააღმდეგობრივია, არ ესადაგება გამოსაყენებელი ნორმის იურიდიულ ბუნებას, თეორიულად და ზედაპირულად, სტერეოტიუპულად მოიხეიწებს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს, თუმცა გადაწყვეტილების არსობრივი შინაარსი არსებითად განსახვავებულია და მიუთითებს მოსარჩელეთა სხვაგვარ მოთხოვნაზე და არა იმგვარად, როგორც ამას პირველი ინსტანციის მოსამართლე წარმოაჩენს. შესაბამისად მოსამართლემ იმ შემთხვევაში უნდა მიუთითოს ამ პრეცედენტებზე, როცა უშუალოდ ანალოგიური გარემოებაა მიზანშეწონილობისა გამოსაყენებელ ღონისძიებასთან დაკავშირებით და არა ზოგადად. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ვერ იქნა დასაბუთებული გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის შეფარდების უარყოფა, კონვენციის მე-5 მუხლის სუბიექტურად და აბსტრაქტულად განმარტება დაუშვებელია, არ ესადაგება ასეთი მიდგომა ნორმის შინაარსს, მისი წინააღმდეგობრიობა გამომდინარეობს ამ გადაწყვეტილების რაობიდანაც, როცა მოსამართლემ ბრალდებულები გაათავისუფლა დაკავებიდან, თუმცა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფის მიხედვით არ დაუდგენია არ ყოფილა პირობადადებული სასამართლოში მათი გამოცხადების რაიმე გარანტია. საგამომიებო კოლეგია მიუთითებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო ვალდებულია საკმარისად დაასაბუთოს გამოყენებული ა/ღონისძიების მიზნები და საფუძვლები ეროვნული კანონმდებლობით, შემდგომ კი საჭიროების შემთხვევაში მიუთითოს სტრასბურგის გადაწყვეტილებებზე, ანუ მოსამართლე კარგად უნდა ერკვეოდეს ეროვნულ კანონმდებლობაში, უნდა შეეძლოს გამოსაყენებელი ნორმის ავთენტური განმარტება და არა მისი უარყოფა, ერთმნიშვნელოვანად უნდა აღინიშნოს, რომ საპროცესო კოდექსის დასახელებული ნორმა გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის შეფარდების შესახებ არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას, ადამიანის უფლებათა ევროპული



სასამართლოს მიერ მიღებულ პრეცედენტულ გადაწყვეტილებებშიც კი სასამართლოს არ უხსენებია, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ნორმა გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის შეფარდება ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ხელყოფს პირის თავისუფლების უფლებას, ასევე არ დამდგარა დღის წესრიგში ამ ნორმის კონსტიტუციურობა ადამიანის თავისუფლებათა შეზღუდვის ფარგლებში. განგრძობადი პატიმრობისა და გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის შეფარდება არსებითად განსახვავებული შემთხვევებია, ევროპული სასამართლო აქცენტს აკეთებს განგრძობადი პატიმრობის დაუშვებლობაზე და არა გირაოს უზრუნველყოფით პატიმრობის შეფარდების აკრძალვაზე, კონვენციაში დასახლებულ ნორმა/პრინციპებთან სრულ შესაბამისობაშია დასახლებული ნორმის მოქმედება, მოცემულ შემთხვევაში კი ადგილი არ ჰქონია განგრძობადი პატიმრობის საშიშროებას. ის რომ სსსკ-ის 200-ე მუხლის მე-6 ნაწილი დაკავებისას პირის მიმართ გირაოს უზრუნველყოფით პატიმრობის შეფარდებას ითვალისწინებს, აღნიშნული ნორმა მოსამართლის დიკრეციას არ ხელყოფს, კანონის პირდაპირი მოთხოვნაა გირაოს გამოყენებისას დაკავებული პირის მიმართ უზრუნველყოფის მიზნით შეფარდებული იქნას პატიმრობა, აღნიშნული არ არის თვითმიზანი და მიემართება საპროცესო ღონისძიების გირაოს გამოყენების მიზნებს იმ სისხლის სამართლის საპროცესო მიზნებისათვის, რის მისაღწევადაც პირის მიმართ გამოყენებული იქნება აღკვეთის ღონისძიება, ანუ მოსამართლის დისკრეცია სწორედ აღკვეთის ღონისძიების შერჩევასა და გირაოს თანხის ოდენობაში ვლინდება და გულისხმობს, რომ მოსამართლემ ბრალდებულს იმ ოდენობის გირაო უნდა შეუფარდოს, რაც შეესაბამება მის ქონებრივ მდგომარეობას/მის ფინანსურ შესაძლებლობას, აღნიშნული პროპორციის დაცვა მიმართული რომ არ მოხდეს პირის განგრძობად პატიმრობაში ყოფნა. დაკავების პატიმრობის უზრუნველყოფის აქცენდატ გამოყვანა კი საპროცესო მიზნების და საფუძველების არასათანადო განმარტებას უკავშირდება, იმისათვის რომ დადგნიდნენ რა საჭიროა დაკავება და რისკენ მიემართება დაკავება ამისათვის საჭიროა საპროცესო კანონმდებლობის მიზნების, მისი დანიშნულების და გამოყენების წესის სათანადო გათვალისწინება. თუ მოსამართლეს მიაჩნდა, რომ 10000 ლარის ოდენობით გირაოს პატიმრობით უზრუნველყოფა გამოიწვევდა ბრალდებულებისათვის განგრძობად პატიმრობის საფრთხეს, მაშინ მოსამართლეს შეეძლო შეემცირებინა გირაოს თანხა და დაკავებიდან არ მომხარყო უზრუნველყოფამდე გათავისუფლება, დასახლებულ შემთხვევაში მოსამართლის შეფასების გარეშე დარჩა რა უფრო საუარესო იყო ბრალდებულის მიმართ 10,000 ლარის გირაოს გადახდა და დაკავებიდან გათავისუფლება, რომელიც შეიძლება ვერ გადაიხადოს და პატიმრობით შეცვლის საჭიროება დადგეს, თუ ბრალდებულის მიერ მოთხოვნილი გირაოს 5000 ლარის ოდენობით არ შეფარდება პატიმრობის უზრუნველყოფით, რომლის გადახდასაც ბრალდებული ითვალისწინებდა.

კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო განმარტავს, მოქმედი კანონმდებლობით მოსამართლე ბრალდების მხარის შუამდგომლობის არარსებობის შემთხვევაშიც კი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით პირს გირაოს უზრუნველყოფის მიზნით შეუფარდოს პატიმრობა, რაც გულისხმობს, რომ ის გვევლინება ახალი ბრალმდებლის როლში და შეუძლია გამოიყენოს უფრო მკაცრი სახის აღკვეთის ღონისძიება, ვიდრე ეს პროკურორმა მოითხოვა. ამასთან, რიგ შემთხვევებში როდესაც ბრალდებული ვერ





უზრუნველყოფს გირაოს თანხის გადახდას მას ესპობა პატიმრობიდან გათავისუფლების ყოველგვარი შესაძლებლობა, აღნიშნული კი ცალსახად ეწინააღმდეგება ე.წ „თავისუფლების პრეზუმფციის“ პრინციპს. საგამომიებო კოლეგია მიიჩნევს, რომ აღნიშნული მსჯელობა მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ პირისთვის გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის შეფარდება ცალკე აღებული არ წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების დამოუკიდებელ სახეს და მას შემდეგ რაც ბრალდებული აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე განახორცილებს გირაოს თანხის სრულ ან ნაწილობრივ შეტანას, იგი დაუყოვნებლივ თავისუფლდება პატიმრობიდან. ამასთან, კანონმდებელი სასამართლოს აკისრებს ვალდებულებას, რომ მის მიერ განსაზღვრული გირაოს თანხა, შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმისა და ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით იყოს გონივრული იმისათვის, რათა ბრალდებულს ან მისი სახელით სხვა პირს შეეძლოს მისი გადახდა ან გირაოს თანხის ექვივალენტური უძრავი ქონებით მისი უზრუნველყოფა, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუსაბამოდ მაღალი გირაოს ოდენობის დადგენა, განსაკუთრებით იმ პირობებში როცა პირის მიმართ გირაოს უზრუნველსაყოფად გამოყენებულია პატიმრობა, ვერ იქნება გამართლებული, რადგან აღნიშნული არ ემსახურება აღკვეთის ღონისძიების მიზნებს, ანუ თავიდანვე იქნება მოლოდინი იმისა, რომ ბრალდებული ვერ შეძლებს გირაოს გადახდას რაც გამოიწვევს პირის სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესებას. დამატებით, გირაოს თანხის ოდენობა უნდა იყოს ჩადენილი ქმედების პროპორციული და ბრალდებულის არასათანადო ქცევისათვის რეალურად შემაკავებელი ხასიათის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში პირის მიმართ პატიმრობის შეფარდება წარმოადგენს ბრალდებულის მხრიდან გირაოს თანხის სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში გადახდის უზრუნველყოფის გარანტიას ანუ, მსგავს შემთხვევებში საქართველოს სსსკ-ის 198-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას, ემსახურება აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახე- გირაო, როგორც ქონებრივი ხასიათის ვალდებულება, ხოლო მის უზრუნველსაყოფად დაკავებული პირისთვის პატიმრობის შეფარდება არანაირად არ გულისხმობს პარალელურად დამატებითი აღკვეთის ღონისძიების-პატიმრობის გამოყენებას საქართველოს სსსკ-ის 205-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძველებით, როგორც ამას პირველი ინსტანციის სასამართლო მიუთითებს. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. გ.-ს და დ. ლ.-ს მიმართ საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა დაკავება, რა დროსაც კანონის არსებით დარღვევას ადგილი არ ჰქონია, ამასთან, ბრალდებულების სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე მიღებული ინფორმაციის თანახმად ბრალდებულებმა გამოთქვეს მზაობა გირაოს თანხის გადახდის თაობაზე, გირაოს შეფარდების შემდეგაც მას წარმოეშვა საქართველოს სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულება, თუმცა ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ არასწორად იქნა გაგებული და შესაბამისად განმარტებული გირაოს უზრუნველყოფის მიზნით ბრალდებულისთვის პატიმრობის შეფარდების სამართლებრივი საფუძველი, ბრალდებულები გათავისუფლდნენ სასამართლო სხდომის დარბაზიდან, რაც წარმოადგენს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნათა უგულვებელყოფას. თერთიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლისათვის განჩინებაში რიგი საკითხები ბუნდოვანი და გაურკვეველი რჩება, დაუშვებელია მოსამართლის მსჯელობა



გირაოს ერთი შეხედვით „ფულთან“ გაიგივებისა ამასთან დაკავშირებით 1962 წლის ერთერთი ჩინოვნიკის გამონათქვამის მოხსენიებისა და ამით განჩინებაში თავის მოწონება, საგამომიებო კოლეგია განმარტავს რომ ასეთი დამოკიდებულება საპროცესო ღონისძიების წარმოჩენისა მნიშვნელობას უუფასურებს კოდექსის ნორმას, რამეთუ პირველ რიგში საპროცესო კოდექსში არსებული სისხლის სამართლის საპროცესო ღონისძიების სახეები მათი საკანონმდებლო რეგულაციებიდან გამომდინარე მიმართება სისხლის სამართლის პროცესის მიზნების მიღწევას, ანუ ბრალდებული და პროცესის სუბიექტი აღკვეთის ღონისძიებას აღიქვამს როგორც ღონისძიებას ამა თუ იმ სათანადო ქცევის განსახორციელებლად, საპროცესო მიზნები და მიზეზი რატოც ხდება ა/ღონისძიების გამოყენება ზემოქმედების ზომას სწორედ მისი არსის გაცნობიერებაში პოულობს და არა მხოლოდ მის მატერიალურ გამოხატულებაში, რადგან ალ/ღონისძიების პირობების დარღვევა მხოლოდ ფინანსურ რისკებს არ მოიცავს და დაკავშირებულია პირის უფლებების და თავისფლებების სხვაგვარად შეზღუდვის რისკებთან. მოსამართლისათვის ასევე გაურკვევლი და ბუნდოვანი დარჩა „რელევანტურობისა და საკმარისობის“ მიზეზების რაობა გამოსაყენებელ ღონისძიებათა შესაფხებისას და მათ მხოლოდ სტერეოტიპულად მოიხსენიებს განხილვის არსის გარეშე, რაც ასევე ყოვლად დაუშვებელია, ადამიანის უფლებათა სასამართლო ამ საკითხს არ მოიხსენიებს ისე, როგორც ამას პირველი ინსტანციის სასამართლო უთითებს.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საპროცესო კოდექსში ცალსახად მოცემულია აღკვეთის ღონისძიების შესახებ განჩინება რას უნდა შეიცავდეს და როგორ უნდა მოხდეს მისი ფორმირება ანუ განჩინება თავის არსით და ფორმით უნდა შეესაბამებოდეს სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნებს, მიუხედავად აღნიშნულისა მოსამართლე განჩინებაში მსჯელობს და აფასებს როგორც კანონის კომენტარების „წიგნების“ კრებულს, ასევე ითავსებს სტატისტიკის სამსახურის სპეციალისტის და რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის ფუნქციას სასამართლოს გადაწყვეტილებების მონიტორინგის შესახებ, რაც სცილდება ყოველგვარ სამართლებრივ ჩარჩოს ამ გადაწყვეტილებისათვის განსახილველ საკითხის არსს, აღნიშნული ჩანართები და მსჯელობა ყოვლად დაუშვებელია, დაუშვებელია განჩინებაში მოსამართლე აფასებდეს სხვა მოსამართლის გადაწყვეტილებას, კანონიერებას და დასაბუთებულობას. პირველი ინსტანციის მოსამართლე ვალდებულია კანონისმიერი მოთხოვნის ფარგლებში ყურადღებით მოეკიდოს განსახილველ საკითხს და სრული გულმოდგინებით შეისწავლოს მხარის მოთხოვა და გადაწყვეტილების მიღებისას შეინარჩუნოს მიუკერძოებლობა სუბიექტური გავლენებისგან, რამეთუ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ყოველთვის ემყარება ობიექტურად არსებულ ფაქტორებს.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4, მე-6, მე-7 ნაწილებით, მე-200 მუხლის მე-6 ნაწილით და

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :

1. ბრალდებულების გ. გ.-ს და დ. ლ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით 10.000 -10.000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით გირაოს გამოყენების შესახებ თეთრიწყაროს რაიონული



სასამართლოს 2017 წლის 23 ივნისის განჩინებაზე, მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორის გიორგი სახიაშვილის საჩივარი დაუშვებლად იქნას ცნობილი;

2. განჩინების ასლები შესასრულებლად და ცნობისათვის, გაეგზავნოთ და გადაეცეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შესაბამის პირებსა და ორგანოებს;

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოსამართლე  
გიორგი გოგინაშვილი